არ შევა ცეცხლში ის, ვინც ლოცულობდა მზის ამოსვლამდე და მის ჩასვლამდე

აბუ ზუჰაირ უმარ იბნ რუაიბას (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოცემით, მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «არ შევა ცეცხლში ის, ვინც ლოცულობდა მზის ამოსვლამდე და მის ჩასვლამდე».

[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა მუსლიმმა]

მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნობს, რომ არავინ შევა ჯოჯოხეთში, ვინც აღასრულებს ფაჯრის (დილის) და ასრის (ნაშუადღევის) ლოცვებს და მათ მუდმივად შეინარჩუნებს. ეს ორი ლოცვა განსაკუთრებით აღინიშნება, რადგან ისინი ყველაზე რთულია სხვა ლოცვებთან შედარებით. დილის ლოცვის დრო ემთხვევა იმ მომენტს, როდესაც ადამიანებს, ჩვეულებრივ, სძინავთ და ძილით ტკბებიან, ხოლო ასრის ლოცვის დრო — იმ დროს, როდესაც ისინი ყოველდღიური საქმეებითა და ვაჭრობით არიან დაკავებული. ვინც, მიუხედავად ამ სირთულეებისა, ინარჩუნებს ამ ორ ლოცვას, ასევე შეინარჩუნებს დანარჩენ ლოცვებსაც.

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/6215